



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



დადგენილება:დ-27.27213633

თარიღი:29/12/2021

**და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №05**

**29 დეკემბერი 2021 წ.**

**ქ. თელავი**

**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №12 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №12 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 14/02/2018, 270070000.35.163.016390).

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2 „მერიის თანამდებობის პირებისა და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები“ ჩამოყალიბდეს დანართი №1-ის შესაბამისად.
2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №3 „თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა და თანამდებობრივი სარგოები“ ჩამოყალიბდეს დანართი №2-ის შესაბამისად.

**მუხლი 2.** დადგენილება ძალაშია 2022 წლის 01 იანვრიდან.

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



თელავის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებისა და პროფესიული  
საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობა	რანგი	იერარქია	საბაზო თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი	ერთი თვის თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირები					
1.1	მერი			1 100	4.6	5 060
1.2	მერის პირველი მოადგილე			1 100	3.5	3 850
1.3	მერის მოადგილე			1 100	3.2	3 520
2	მერიის პროფესიული საჯარო მოხელეები					
2.1	სამსახურის უფროსი	I რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1 100	2.3	2 530
2.2	განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1 100	1.6	1 760
2.3	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	1 100	1.2	1 320
2.4	უმცროსი სპეციალისტი	IV რანგი	I კატეგორია	1 100	1.0	1 100

თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა და თანამდებობრივი სარგოები

№	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები	ადმინისტრაციულ ერთეულებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა	ერთი თვის თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	მერის წარმომადგენელი	27	1700
2	სპეციალისტი	40	800